ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 67

26 სექტემბერი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:30 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ" (№11-01192663128 23.09.2019წ; №11-01192673119 24.09.2019წ; №11-011922683429 25.09.2019წ).

დღის წესრიგი დამტკიცდა კომისიის წევრების მიერ.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.
წარმოდგენილია ზოგიერთი რაიონის გამგეობის მოთხოვნა მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ: გლდანის რაიონის გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში 928 000 ლარის, მესამე კვარტლიდან მეოთხე კვარტალში გადატანას. ასევე „უფასო სასადილოებით მომსახურების" პროგრამაში 26 152 ლარის, მესამედან მეოთხე კვარტალში გადატანას, „კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების" პროგრამაში- 19 000 ლარის, მესამედან მეოთხე კვარტალში გადატანას. გარდა ამისა გამგეობა ითხოვს „კეთილმოწყობის ღონისძიებების„ პროგრამაში, მესამე კვარტალში 228 000 ლარის დამატებას და „დანგრეულის სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" პროგრამაში მესამე კვარტლის გეგმის გაზრდას 2500 ლარით, ამ პროგრამებში მეოთხე კვარტლის გეგმების შესაბამისად შემცირებით.

კომისიის წევრებს შეკითხვები ქონდათ, გლდანის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში მესამე კვარტალში 928 000 ლარის აუთვისებლობასთან დაკავშირებით. მათ შეკითხვაზე ლევან მიქავამ განმარტა, რომ გამგეობის განმრტებით თანხების ათვისება მოხდება მეოთხე კვარტალში.

წარმოდგენილია ასევე კრწანისის რაიონის გამგეობის მოთხოვნა, „გზების მოვლა შეკეთების პროგრამაში „ მესამე კვარტლის გეგმის შემცირება 100 000 ლარით, შესაბამისად მეოთხე კვარტლის გეგმის გაზრდით, ხოლო ამავე პროგრამაში მესამე კვარტალში „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 70 000 ლარის გადატანა- „არაფინანსური აქტივების“ მუხლში. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ თაბორის მთის I შესახვევში, გზების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების დასაფინანსებლად, მესამე კვარტალში საკმარისი თანხები არ არის არაფინანსური აქტივების მუხლში. გარდა ამისა რაიონის ტერიტორიაზე დაზინებული ასფალტის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები შეფერხდა წყალკანალიზაციის სამუშაოების გამო, რის გამოც 200 000 ლარის გადატანა ხდება მესამედან მეოთხე კვარტალში „კეთილმოწყობითი ღონისძიებებვის“ პროგრამაში.

მთაწმინდის რაიონის გამგეობა აღნიშნავს, რომ ოქროყანაში, თბილისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი უნდა დასრულებულიყო 9 თვეში, ვერ ესწრება სამუშაოების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მომზადება, რის გამოც სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია ოქტომბრის თვეში. გამომდინარე აქედან გამგეობა ითხოვს აღნიშნულ პროგრამაში 100 000 ლარის გადატანას მესამედან მეოთხე კვარტალში. კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში კოჯრის ქ.#3-ის მიდებარედ გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლების მოწყობის სამუშაოების დასრულება ვერ ხერხდება ოქტომბრის ბოლომდე და 88 000 ლარის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.

ჩუღურეთის რაიონში, რაიონის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის დასრულებული სამუშაოებისათვის, „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში „არაფინანსური აქტივების“ მუხლში მესამე კვარტალში დამატებით სჭირდებათ 32 000 ლარი, შესაბამისად მცირდება კაპიტალური ტრანსფერის მუხლი.

დიდუბის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების“ პროგრამაში, 85 000 ლრის გადატანა ხდება მესამედან მეოთხე კვარტალში.

საბურთალოს რაიონის გამგეობა აღნიშნავს, რომ „გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებების“ პროგრამაში, დამატებით სჭირდებათ 1400 ლარი. ასევე არასაკმარისი თანხები აქვთ „სოციალური დახმარებების ღონისძიებების“ პროგრამაში და პროგრამის ასიგნებას ემატება 39100 ლარი. შესაბამისად მცირდება „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები“ - 40 500 ლარით. პროგრამით მოსარგებლე რამოდენიმე ბენეფიციარი გარდაიცვალა, ხოლო რამოდენიმეს შეუჩერდა. ვერ ესწრება ასევე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები მესამე კვარტალში და ითხოვებ 283 290 ლარის მეოთხე კვარტალში გადატანას. გარდა ამისა მეგრელიძისა და ბენდელიანის ქუჩებზე, ჩამოიშალა არსებული საყრდენი კედლები და საჭიროებიდან გამიმდინარე „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში ხდება წლიური ასიგნების გაზრდა 88 320 ლარით.

წარმოდგენი;ლია ასევე ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის კვარატალური ცვლილება. ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებშო უკვე მოეწყო მიწიშქვეშა კომუნიკაციები. ამჟამად მიმდინარეობს იფრასტრუქტურის და ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც დასრულდება მეოთხე კვარტალში. ამიტომ 2500000 ლარი გადადის მესამედან მეოთხე კვარტალში. აღნიშნულთან დაკავშირებით გაჭიანურდა დოკუმენტაციის მომზადება. შესაბამისი სამუშაოების ძირითადი ნაწილი უნდა განხორციელდეს მე-4 კვარტალში და „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა-აღდგენა რეკონსტრუქციის „ პროგრამაში 1 500 000 ლარი გადადის მეოთხე კვარტალში.

კომისიის წევრებმა ზოგადად ისაუბრეს მუნიციპალიტეტის მიმდინარე ბიუჯეტის 9 თვის შესრულებასთან დაკავშირებით. შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი რაიონის გამგეობა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის, მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია